# სასოფლო გაზეთი

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით

გაზეთის ფასი:

| | გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელად: მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 4 მან. | — 3 |
| ნახევრის წლისა | — 3 — | — 2 |
| სამის თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. |

ხელის-მოწერას მიიღებს.

თფილისის «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორა, დუბელირის (გ. წერეთლის და კომპ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и К°).

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოების და აგრეთვე გლეხების დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თფილისში, დუბელირის (გ. წერეთლის და კომპ). სტამბაში.

№ 18 შაბათი | III | 17 ოკტომბერი, 1870 წ.

შინაარსი:

წესი რომლითაც მოისპობა საქონლის ჭირი და სხვ.—საექიმო ნაწილი.—უბრალო-ცავები.—სამეურნეო ნაწილი.—კვერცხების შენახვა.—ბოსტნების გასუქება.—ჭიის გაწყობა ხეებზე.—ხის მირებზე ნაცრის მოყრა.—სხვა და სხვა ამბავი: ბრაზილიის წამლობა.—უბრალო მდოგვი სალოკინის მოსარჩენათ.—სახაზინო განცხადება.

## წესი,

რომლითაც მოისპობა საქონლის ჭირი პოლშის სამეფოს გუბერნიებში და განკარგულებანი ამა საქმის შესახებ.

1) ზემოხსენებულ გუბერნიებში საქონლის ჭირის მოსასპობლათ, ყოველი ჭირიანი საქონელი, ან თუ ეჭვი აქვთ იმის ჭირიანობაზე, მაშინვე უნდა მოკლას.

* * *

2) საქონლის პატრონს ნება აქვს ითხოვოს სრული ფასი მოკლული პირუტყვისთვის, მაგრამ ფასი კი რაც ამ უკანასკნელს ხუთს წელს დაუწესებით თითო საქონელზე, იმაზე მომეტებული არ მიეცემათ.

შენიშვნა.—განმავალ ხუთს წელს აი ეს ფასები იყო დადებული:

ხარი ან მოზვერი — ორ თუმნად

ძროხა — — — — სამთუმნად

ხბო — — — — ოთხ მანეთად.

* * *

3) რომელიც ჭირით მოკვდება, იმას არ გადაუხდიან.

შენიშვნა. აგრეთვე არც იმ საქონელს გადაუხდიან, რომელიც სხვა ადგილებიდგან მოუვანის შემდეგ სამ კვირაზე ადრე მოკვდება პოლშაში.

* * *

4) დაკლული საქონლის პატრონის მაგიერის მისაცემათ მთელს საქონლის მეპატრონეებს გამოერთმევათ ხარჯი თანასწორათ, რომ შესდგეს იმდენი ფული, რამდენიც საჭიროა ყოველი დაზარალებულის პატრონის დასაკმაყოფილებლათ და აგრეთვე ცოტაოდენი სარგებლობისათვის, რომ წინათ გადადებულმა ფულმა ამ საქმისთვის თან-და-თან იმატოს.

* * *

5) რაც ერთის წლის ხარჯს მოუნდება, იმას გარდა დანარჩენი ფული იქცევა სულად თავნათ და ამ ფულიდგან შეივსება ყოველი მომეტებული წლის ხარჯი. თუ ესეც არ აუვიდა წლის ხარჯს, მაშინ საქონლის მეპატრონეებს გამოერთმევათ კიდევ დამატებითი ხარჯი.

* * *

6) სულადი თავნი ოც-და-ათი ათას თუმანზე ნაკლები არ უნდა იყოს. თუ სულადი თავნი ამ ფულზე მეტი შეიქნა, მაშინ საქონლის მეპატრონეებს მოაკლებენ წლის ხარჯის რთმევას იმისდა შესაფერათ, რამდენიც დაჰკლდება.

* * *

7) როგორც სამუდამო, აგრეთვე დამატებითი ხარჯი მთელს ამ გუბერნიაში თანასწორათ არის განწესებული, მუდამი ხარჯი მარტის თვეში გამოერთმევათ და დამატებითი ხარჯი ნოემბრის თვეში.

---

### საქმის წარმოება საქონლის ჭირიანობის შემდეგ.

9) უმაღლესი და საზოგადო თვალ-ყურის დევნება საქონლის ჭირის მოსპობაზე შინა საქმის სამინისტროს ხელში იქნება.

* * *

10) ადგილობრივათ ამ საქმის წარმოება სასამართლოს ექნება ხელში.

* * *

14 ოჯახობის მხრით ჭირის გაქრობის მოვალეობა უეზდის, გუბერნიის სამმართველოების და შინა საქმის სამინისტროს ხელში იქნება.

* * *

15) უეზდის სამმართველო ზემოხსენებულ საქმის შესახებ შემდეგს მოვალეობას ასრულებს:

ა, იმას აქვს პირ-და-პირი ზედამხედველობა საერისტავო ჭირის გაქრობას კომიტეტებზე უეზდში.

* * *

ბ, ხელს უმართავს კომიტეტის მოქმედებას ყოველ შეკრებილების დროს, როცა იქ სხვა-და-სხვა საქმეების განსჯას იწყებენ.

* * *

გ, თვალს ადევნებს, რომ კომიტეტის წევრები რამდენიც რიგია, იმდენი იყონ.

* * *

დ) განიხილავს და შეამოწმებს დოკუმენტებით წარმოდგენილს ანგარიშს მოკლულის პირუტყვების ანგარიშს ჭირის გასაქრობათ და ნებას აძლევს ზარალი გადაუხადონ. თუ დანაკლისი ერთი კაცისა ოც-და-ათს თუმანზე მეტი არ არის, დანარჩენს შემთხვევაში თავისი აზრით ყველა საქმეებს წარუდგენს გუბერნიის სამმართველოებს განსახილველათ.

* * *

ვ, განკარგულებას მოახდენს იმ საქონლის სიების შესადგენათ, რომლისთვისაც ხარჯი ერთიერთ პატრონებს ჭირის გასაქრობათ. ამავე სიით გაუნაწილებს, ვის რამდენი ხარჯის გადახდა ხვდება და მოახდენს განკარგულებას, რომ ხარჯის მძლეველებს გადახდესთ ეს ფული.

* * *

თ) გუბერნიის სამმართველოში წარადგენს, რომ მოშალონ ის ხარჯი, რომელიც უკანონოთ დაუდვიათ სიის შედგენის დროს.

* * *

ი) საქონლის ანგარიშს აწარმოებს და იანგარიშებს რამდენი ზარალი მისცემია მთელს უეზდს ჭირისაგან; წლის გასულს აწარმოებს დაწვრილებითს ანგარიშს მთელი წლისას, რა მდგომარეობაშია ჭირი, ან თუ სულ გაუქვრიათ და ან რა მდგომარეობაშია ამა დასამა დაწესებულების თავნი უეზდში.

* * *

კ, წინათვე დაინიშნება გამოძიება უწესობებზე, რაც რომ მთელს უეზდში მომხდარა ჭირის გაქრობის გამო და ამ გამოძიებას თავისი აზრის გამოცხადებით გაუგზავნის გუბერნიის სამმართველოს გადაწყვეტით.

---

# საექიმო ნაწილი

## უბრალო ციება.

ციებას ეძახიან იმ ავათ-მყოფობას, რომელიც იწყება ჟრჟოლებით, მერე სიცხეში ჩააგდებს, შემდეგ ოფლს დაასხამს და ავათმყოფი განთავისუფლდება მეორეთ შებრუნებამდის. ამ სახით ციება ან ყოველ დღე ემართება კაცს, ან დღე გამოშვებით, ან ორ-ორი დღის შემდეგ.

* * *

ციება განსაკუთრებით ჭაობიანს ადგილებში ბუდობს და გახდება ადგილობრივ სნეულებათ. მაგალითად დაბლობს, დაცემულს ადგილებში, სადაც ნამი იცის, ან მდორე მდინარეების პირათ, რომელნიც ხშირათ გადმოდიან ნაპირებს და წალეკვენ ჭალებს, მაგ. რიონის პირებზე, ზღვის პირებზე, სადაც მდინარის წყლები ზღვის წყალს ერთვის, სადაც ახალი გატეხილი და ნამიანი ყანებია, სადაც ბრინჯის ყანებია, რამდენათაც უფრო კარგი სარწყავი და მოსავლის ალაგებია, ბევრი წყალი გადის სახნავ-სათეს მიწებში, სადაც ამასთანავე თბილა, იქ უფრო გახშირებულია ციება.

* * *

ციების მიზეზი უეჭველათ ხაშმაა. ხაშმს ეძახიან ყოველ-ნაირს მიწიდგან ადენილს ცუდს ოხშივარს, რომელიც ჰაერს შერევია და ახდენს. ამისთვის ხაშმს ეძახიან ისეთს მყრალს ჰაერს, რომელიც ცეცხლს აქრობს, სიცოცხლისთვის მავნებელი და მახრჩობია. ხაშმს აგრეთვე უძახიან ფვენის ადგილის სუნს, სარდაფის ნამიანს და მყრალს დამდგარს ჰაერს და სხვ. თუმცა აქამდის ჰაერში ვერ აღმოაჩინეს ისეთი რამ ნაწილი, რომელსაც სახელათ ხაშმი დაერქმეოდა და რომელიც ნამდვილათ სენის გამჩენი ნივთი ყოფილიყო, მაგრამ შეიძლება ერთი მიზეზის მაგიერათ ერთისა და იმავე დროს ბევრი მიზეზები მოქმედებდეს, მაგალითად ჰაერის სინოტივე, მრავალისგან-უმრავლესი წვრილმანი ცხოველისა და მცენარის დარღვევა, რომელნიც იმყოფებიან ტბებში და ჭაობებში. ამ მოწამლულს ჰაერში ბევრი წვრილმანი ცხოველისა და მცენარის თესლი დაჭცურავს, რომელსაც მეცნიერები ამ ბოლოს დროს უფრო-და-უფრო აბრალებენ მრავალ-ნაირის სნეულების გაჩენას.

* * *

ახალი გაკაფული ახო პირველ წლებში ძალიან ნაყოფიერია, მაგრამ ამასთანავე თვითონ ეს ახო ცუდი ოხშივრის ადენით ახდენს ჰაერს და აჩენს ციებას.

* * *

ადგილობრივი მცხოვრებნი ადვილათ სნეულდებიან ციებით სადამ-სადამობით, როცა მარს ბუდი დაეკიდება. იმათ უმეტეს ნაწილათ უყვითელი ფერი ჰქვთ და არიან გამხმარნი. ჭაობის სნეულებას ეძახიან ციებას, მაგრამ მეჭელას (ყვანას), ხოლერას და ჭირსაც ჭაობის სნეულებას ეძახიან. ციება განა მარტო ჭაობიანს ადგილებში კი არ ბუდობს. თუ კანიცობაა წყლის დიდობა მოხდა და გადაიარა იმისთანა ადგილებზე,—სადაც ციება არ ყოფილა უწინ, შემდეგ ამისა, როცა წყლისაგან დანოტივდება ჰაერი და ამასთან კიდეც დათბება, უეჭველათ მაშინ ციებაც გაჩნდება. არიან ისეთი მშრალი და მთიანი ალაგები, სადაც არავინ არ იფიქრებს, რომ იქ ციება იცოდეს, მაგრამ არის კი და ზოგიერთ წლებში ძალიანაც გაძლიერებულია თუმცა ჰაერს არ ეტყობა არავითარი ცვლილება.

* * *

ციება გადამდები არ არის, ეს ემართება ყოველ კაცს დახაშმულ ჰაერისაგან. ხაშმიანს ჰავის მცხოვრებლებს თვითონ ტანში უდგას ეს ავათ-მყოფობა და თუ თავს არ უფთხილდებიან, მაშინვე გამოაჩნდებათ: მაგალითად მძიმე საზდოსაგან თუ კუჭი აქვთ მოშლილი, ან თუ მომეტებულათ მთვრალობენ. მეტის-მეტი შრომა და სხვა დამასუსტებელი მოქმედება. ვინც ერთხელ, ან ორჯერ გამხდარა ავათ ციებით, იმას ცოტა რამე ეყოფა, რომ მეორეთ დააწყებინოს ციება.

* * *

ზოგს უცებ გაატიებს, ზოგს კი ჯერ ნიშნებით შეატყობინებს დამართებას: მადა ეკარგება, ზმორებას დაუწყებს, ტანში ჩაამტვრევს, ხან სიცხეს მისცემს, ხან ცივნებს დააწყებინებს. როდესაც ნამდვილათ შეექნება, მაშინ კი ძალიან ათრთოლებს და ამნაირი თრთოლვა გასტანს ნახევარი საათი-

დგან ორ საათამდის. ცივნების დროს რომ გაშინჯოს კაცმა ავათ-მყოფი, დარწმუნდება, რომ სითბო მოკლების მაგიერათ, კარგა მალათ მომატებია. ამასთანავე ავათ-მყოფს მალიან თავის ტკივილი აქვს, მძლავრი ფშვინვა და ჩქარი მაჯა. ავათ-მყოფი თრთის, კბილებს წკაპა-წკუპი გაუდის ხელი და ფეხი ულურჯდება, პირის სახე უყვითლდება, შემდეგ ცივების მაგიერათ ტანი ჰგრძნობს გახურვებას და სიცხე პირის სახიდგან მთელს ტანში დაუვლის. ამ დროს პირის კანი ავათ-მყოფს უწითლდება, თავის ტკივილი ისე აქვს და ხშირათ კიდევაც უმატებს, ასე რომ ავათ-მყოფი ბოდვას დაიწყებს, შარდი მოწითალო აქვს. ცოტა ხანს შემდეგ ბევრს შარდს გამოიღებს, და თუ დაასვენა კაცმა, მალე დაილევავს მარს წითელს ხაროში. ავათ-მყოფობა გაგრძელდება თორმეტს საათსა, შემდეგ გაუვლის მეორეთ მობრუნებამდის. ამ დროს განმავალობაში ციებიანი ჰგრძნობს სისუსტეს, ზოგჯერ სტომაკიც აქვს მოშლილი და მადის უქონელობა. ტყიპი დასუსივდება. თუ ავათ-მყოფობამ დიდ-ხანს გასტანა, ტყიპი მალიან გაუდიდდება და თითქმის მთელს სიცოცხლეში ტყიპიანი დარჩება.

* * *

ცივება ბევრნაირია, თუ ყოველ დღე უვლის, მაშინ ეძახიან დღიურს ცივებას. თუ დღე გამოშვებით ემართება, მაშინ ეძახიან სამი დღის ცივებას და თუ ორის დღის გამოშვებით უვლის, მაშინ ოთხი დღისა. ხშირათ დღიური ცივება იცვლება სამი დღის ცივებათ, ან სამი დღისა ოთხი დღისათ. ზოგჯერ ოთხი დღის შეიცვლება სამი დღისათ და სამი დღის დღიურ ცივებათ. საზოგადოთ პირველ გამოჩენაზე კაცი ვერ შეიტყობს, როგორია ცივება. რამდენსამე დღეს შემდეგ ის ჩადგება თავის რიგში, თორემ პირველი ნიშნებით შეიძლება კაცს ცივების მაგიერათ სხვადასხვა ეგონოს.

* * *

რაიცა შეეხება თვითონ წამლობას ყველაზე ადვილი მოსარჩენია სამი დღის ცივება და ამისთვის მუდამ დღის ცივება ან ოთხი დღის ცივება თუ სამი დღის ცივებათ გადაიცვალა, ეს კარგი ნიშანია. როცა სამი დღის ცივება სხვა გვარ ცივებათ გადაიცვლება, ეს კი ცუდი ნიშანია. საზოგადოთ ადრე თუ გვიან ცივება უეჭველათ გაივლის. მაგრამ შეიძლება ცივებას სხვა ავათ-მყოფობაც დაერთოს და ავათ-მყოფი კიდეც გადაჰყვეს თავის სნეულებას; ტყიპის ავათ-მყოფობას დაერთვის, ღვიძლისა და თირკმლების მოშლა და ეს მალიან გაჰხდის დასუსტებს თვითონ ავათ-მყოფს. მაშინ შეიძლება წყალმანკი, ან სურავანდი გაუჩნდეს ავათ-მყოფს.

* * *

ცივების წამალი ხინია და ზოგიერთს ალაგს მაინც საკვირველათ ბევრს ხმარობენ ამ წამალს, ყირიმში და კავკასიაში ფუთობით ხარჯვენ, მაგრამ ეს წამალი ისე მარგები არ არის კაცის აგებულებისთვის, როგორც საზოგადოთ ჰგონიათ.

* * *

მართალია ხინი რამდენსამე ხანს შეაჩერებს ცივებას და ზოგჯერ შეიძლება სულაც გააშვებინოს, მაგრამ ბევრს შემთხვევაში კი ხინი ვერას შველის და იმის მიღების შემდეგ ხელმეორეთ უბრუნდება ბევრი ხანის ხმარებას, იქ საცა ცივება არის, რამდენათაც სარგებლობა მოაქვს ცივების გაშვებით, იმდენათ თუ მეტად არა ზარალსაც შვრება, ტან-მთელობის მოშლით, ზოგჯერ როცა ხინი ვერას უხამს ცივებას, მაშინ ასმევენ თაგვის შაქარს (დარიშხანა). იმედია, რომ მერმისას ორივეს ხმარებას თავს დაანებებენ.

* * *

ერმა მალიან კარგათ იცის, ცივება რა არის, და ზოგჯერ ახარებულს წამლეის იკეთებს, რომელნიც უფრო ავნებენ, თორემ არას არგებენ ავათ-მყოფს; მაგრამ ზოგი ისეთი წამლებია, რომ ცუდი არ იქნება იმათი გამოცდა დასარწმუნებლათ, კარგან თუ არა.

(შემდეგი იქნება).

## სამეურნეო ნაწილი

### — კვერცხების შენახვა

ყველამ იცის, რომ კვერცხები დიდხანს ვერ სძლებენ და ლაყდებიან, იმისთვის, რომ ნაჭუჭის ჭვრიტა-მალებიდგან ორთქლათ გამოდის წყალი და შიგ ჰაერი, რომელიც კვერცხს ალაყებს. ამისთვის ვისაც ჰსურს კვერცხის შენახვა, უნდა [illegible] ნაჭუჭის ჭვრიტამალები.

ზამთარში მეოჯახე დედა-კაცები სხვა-და-სხვანაირათ ინახვენ კვერცხებს: ჩაფლვენ ან ნაცარში, ან ქვიშაში, ქატოში, ნახერხში, სორბალში, ბამბაში, ბზეში და სხვ. მაგრამ ბზეში ჩაფლვას კი ვერავის ვურჩევთ, რადგან შეიძლება ბზე დანოტიავდეს და მაშინ კვერცხებს სამაგელი სუნი ემლევათ.

* * *

კიდევ ურჩევდენ კვერცხების შენახვას მალიან დამლაშებულს მარილიანს წყალში, ან კირის წყალში. ზოგნი ყოველ კვერცხს ლაქში გაავლებენ, მაგრამ ლაქი ისეთ-ნაირათ გაუჯდება ყოვე კვერცხს შიგნით, რომ საჭმელათ საზიზღარი ჰხდება. ერთ-მინუთში რომ კვერცხები ცხელ წყალში ჩავყაროთ ნაჭუჭს შიგნით ქაღალდის სისქე ცილი შემოეკვრება კვერცხს და ეს მალიან კარგათ ინახავს კვერცხებს წახდენისაგან. ერთი წარჩინებული მეცნიერი ურჩევდა, კვერცხები ზეთში შეინახეთო.

* * *

მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ ექვსი თვის განმავალობაში კვერცხი ნახევრამდის გამოფუტუროვდება და ამ დროს ცუდი სუნიც უდის და თუ ზეთში ჩასდე ექვს თვეს სულ რომ ბევრი ვთქვათ, მალიან ცოტას მოიკლებს სიმძიმეზე, ასე რომ გალაყების ფიქრი არ არის.

* * *

მარტენმა სცადა კოლლოდიუმის ხმარება (აფთიაქში იკითხეთ) და მეტი არ შეიძლება ისე კარგი გამოდგა, ამიტომ რომ კოლლოდიუმში რომ კვერცხი გაავლოთ, ამოღებისათანავე გამაგრდება და კვერცხს კანათ შემოეკვრება, ასე რომ რამდენს ხანსაც გინდა, იმდენს ხანს გასძლებს, წახდენის ფიქრი არა აქვს. თუმცა კოლლოდიანი კვერცხები ცოტა უფრო მომეტებული ფასისანი არიან, მაგრამ მაგიერათ ერთი კვერცხიც აღარ გაფუჭდება. ლაყე კვერცხის გამოცნობა მალიან ადვილია; უნდა ჩაყარო მარილით დამლაშებულ-წყალში ძველი და ახალი კვერცხები; რომელნიც კარგებია, მაშინვე დაიძირებიან, ლაყე კვერცხები კი ზემოთ გაჩერდებიან.

*
* *

— საქსონიის სამეფოში ერთი სახელგანთქმული ქალაქია, სახელად ლეიპციგი, სადაც ბაღების მკეთებელთ საზოგადოებაა შედგენილი. ამ საზოგადოებას მოლაპარაკება ჰქონდა საბაღე მიწების გასუქებაზე. პროფესორმა კნოპმა წარმოსთქვა, რომ მიწის მარილის წყლით მორწყვა საკვირველათ უხდება ღვინის მოსავალს; სხვებმაც დაამტკიცეს, რომ რაკი ჩვენს ვენახებს გასუქება დავუწყეთ, ყურძნის ვაზმა ფოთოლიც უკეთესათ აიტანა და ღვინის მოსავალმაც შესანიშნავათ იმატა.

*
* *

— ერთს ნემეცურს გაზეთში სწერენ, რომ ჭიის გასაწყობათ, აი, როგორი საშუალება მიუღიათ: დანაყვენ ცხრა გირვანქა ჭვარტლს და ჩააყრიან რვა გირვანქა წყალში გასალღობლათ—და ასე შეინახვენ. როცა ხმარება ჰსურთ საშხეფავით გაწუწნვენ ხეს, რომელსაც ჭია დახვევია. მეორე დღეს ყველა ჭიები მკვდარი ეყრება ძირს და თვითონ ხეს კი არას აწყენს ეს წამალი.

*
* *

გაზაფხულს დამდეგ ან ზამთარში ხის ძირზე მიწას მალიან აჩეჩენ და მერე შემოაყრიან ნაცარს, ისე რომ ნაცარმა სულ დაიფაროს მიწა. მერე მორწყვენ იმ განზრახვით, რომ ნაცარ-წმული გაუჯდეს მიწას და ხის ფესვებმა შეისვას. შემოდგომაზე რომ აჩიჩო და ზამთრით მორწყო, ეს კიდევ უკეთესი იქნება. ნაცარი ხილსაც კარგს გემოს აძლევს და თვითონ მიწის ნაყოფიერებასაც უმატებს.

---

## სხვა და სხვა ამბავი

**ბრაზიანის წამლობა.** წარსულს საუკუნის გასულს ფრიდერიკოს დიდმა იყიდა ერთი გლეხისგან და მერე ბრძანა, რომ ყოველგან გაეცხადებინათ ეს ამბავი. ამ წამლის გასაკეთებლათ მოამზადებდენ ცომს, რომელშიაც მალიან ბლომათ ერია დანაყილი ბრაზის ჭია.

*
* *

წარსულ საუკუნეში ბრაზის ჭიას მალიან ხმარობდენ და კიდეც დარწმუნებული იყვნენ, რომ კარგათ არჩენსო. ბოლოს დროს ექიმები აღარ ხმარობდენ ამ ჭიას, მაგრამ ზოგიერთს ადგილებში გლეხები მაინც დიდის გულსმოდგინებით ჰკრეფენ ამ ჭიებს და ახმობენ:

*
* *

რამდენიმე წელია მას აქეთ, რაც ბერლინში გადაიცვალა ღრმა მოხუცებულებაში სოვეტნიკი ბიუტნერი, რომელიც დიდი ხნიდგან ემსახურებოდა ვაჭრობის სამინისტროს. იმას აი, რა უთქვამს: წარსული საუკუნის გასულს იმის მამას ბევრი საქმეები ჰქონია პოლშის სამეფოს საზღვარზე, როგორც გამოცდილს ექიმს და ბრაზის ჭიით საკვირველათ არჩენდა ბევრნაირს ავათ-მყოფობას, მაგალ. ტანზე დაყრილს აკანის მუწუკებს და განსაკუთრებით ბრაზიანს. ევროპაში თუ რომ ამ ჭიით წამლობა გადავარდა, ეს იმისთვის, რომ ექიმებმა არ იცოდნენ, როგორ გაეკეთებინათ და ან როგორ ეხმარათ. ეს ბრაზის ჭია იპოვება თბილ ადგილის და მაისის დღეებში მინდვრებშიც. ხელით არ უნდა აიყვანო, ამიტომ რომ მაშინვე გამოისვრის ტანიდგან ასეთს ჩირქს, რომელსაც ცუდი სუნი აქვს და თუ ის წვენი დაჰკარგა, თვითონ ჭია აღარაფერათ ვარგა. ჭიას უნდა მიუწვდინო კალმის ნამტვრევი, რომელზედაც ის შეცოცდება; მერე ფრთხილათ სტაქანში უნდა ჩასდვა. როცა ამასხით ბევრს მოაგროვებენ, მაშინ ყველა უნდა ჩაყარო თაფლით გავსებულს მათლაფაში, მერე თითო-თითოთ უნდა ამოიღო სტაქნიდგან, გაწმინდო, მოჰსწყვიტო უკანა ნაწილი. ზოგიერთს იმ დროს შენიშნავ მუხუდოს მარცვლის სიდიდე ერთს ბუშტს, რომელშიაც იპოვება [illegible] ჩირქი. ეს ჩირქი უნდა გამოსწურო და კარგათ თავი დაუცო.

*
* *

როგორც ბუტლერი ამტკიცებდა ეს წვენი არის მისწრება ბრაზიანისთვის, ოღონდ კი დაკბენის შემდეგ დაალევინონ, როცა ბრაზი გამოაჩნდება, მაშინაც რომ ასვან მაინც მალიან საქმეს იზამს.

*
* *

თუ ჰსურთ დაალევინონ ეს წამალი, უნდა დაასხან ერთი წვეთი სადაფას (ათუთიაში იყო-ისე) ფხვნილს, ისე რომ მთელს ფხვნილში გაუჯდეს. ეს წვენი ყოველ დღე უნდა აძლიო ავათ-მყოფს სამი კოვზი და ზედ უნდა დაატანოს რამდენიმე ფინჯანი საოფლე ჩაი. ამის შემდეგ ავათ-მყოფს დიდი ოფლი დაასდინდება, შარდზე გასვლას დააწყებინებს და რამდენსამე ხანს შემდეგ ბრაზი გაუვლის.

---

**უბრალო გარჩიცა ანუ მდოგვი სლოკინის მოსაშლელათ.**

ზოგჯერ ასეთი სლოკინი აუარდება კაცს ცივების შემდეგ, რომ ვერასფერი ვეღარ მოაშლევინებს. ერთი სახელ განთქმული დოქტორი ისპანიის საზღვარზე [illegible] ავათ მძიმე ცივებით. რათაც [illegible] შინ რომ მოვიდა, აუტყდა საშინელი სლოკინი. სამი დღის განმავლობაში მოსვენება არ ჰქონდა. რა არ სცადა, მაგრამ ვერასფერი ვერ გააწყო: სლოკინი არ გადაუარდა, ბოლოს თავის ცოლს უთხრა სელის წყალი გამიკეთეო. ამის მაგიერათ იმისმა ცოლმა მდოგვი მოუმზადა დოქტორმა ერთბაშათ შესვა და წარმოიდგინეთ იმის გაკვირვება, რომ სლოკინი მაშინვე გადაუვარდა.

ცოლის ბედნიერი შეცდომით ქმარმა ისარგებლა და როცა ვისმე სლოკინი აუარდებოდა და ვერასფრით გადაავდეუოვლებინებდენ, მაშინ იხმარდა ამ საშუალებას და თვის გადააგდებინებდა. იმისგან ნახმარი მდოგვი (გორჩიცა) აი როგორ იყო მომზადებული: ერთი ჩაის კოვზს გახსნიდა მესამედ გირვანქა მდუღარე წყალში. იმან ამ წამლით სამს ავათ-მყოფს მოაშლევინა სლოკინი, რომელიც რამდენსამე დღეს ჰქონდათ გაგრძელებული და ვერასფრით გადაეგდოთ.

---

**სახაზინო განცხადება ქუთაისის გუბერნიისა.**

სეკდემბრის პირველს ღამით, ლეჩხუმს სოფელს ოქურიშს ღვდლის ბესარიონ ურუშვილის ცოლს მარგალიტას დაეკარგა დაკოდილი ბაჩა მარცხენა ბარძაყზე დაღი აზის და წინა მოსართავისაგან ნიშანი აქვს დასჭული. ლეჩხუმის უეზდის სასამართლო სთხოვს მოახდინონ ყოველგან განკარგულება და თუ სადმე აღმოჩნდა, აცნობონ სასამართლოს, ვისა ჰყავს, ან სად ინახა.

*
* *

მათხოჯის სოფლის მცხოვრებს ბეკო ადამიას 18 სეკდემბერს დაეკარგა სამი ცხენი: პირველი საშვალო ტანის არის უკანა ფეხ[ი] თეთრი აქვს, წყალის თვერი აქვს შუბლზე, თეთრი აქვს ბარძყზე და კისერზე დაღები აზის; მეორე კვიცია, საშუალო ტანის, ლურჯია; მესამე ოქროსფერია, საშვალო ტანის არის, ფაფარი და კუდი შავი აქვს, ცხვირი გაჭრილი აქვს, მხეიძის დაღი აზის.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Октября, 1870 г. ტუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.